

საგზაო

აივანოვი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთო უკრაინული

პარასკევი 26 ოქტომბერი 2001 №205 (1478)

ფასი 50 თეთრი

მსაჯთა მოქმედვარი მიღჩანკო ადსარებას ელის

**ადრა
შავებს.
ასლა
ჭრელებს
შავ
საქმებს
უსუნებენ**



მისცა, არ მისცა, საკითხავი, აი, ეს არის. აილო, არ აილო, ესეც საკითხავია.

ვინ არის ის მსაჯი, რომელსაც რუსთავის „გორდას“ პრეზიდენტმა თემურ ბუილიძემ ჯრთამად ჯერ 700 ლარი მისცა, შემდეგ კი უკან გამოართვა. მერე მსაჯი უქსერიმენტული ჯრთამის მიმცემს ვითომ იმასაც დაპირებია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარესთან, ანატოლი მილჩენკოსთან საკუთარი ფეხით მივალ და ცოდვას მოვინანიებო.

ამაოდ ელოდა მილჩენკო „ძე შევთომილს“, ცხადია, აღსარებაზე მასთან არავინ მისულა, არადა, ბუილიძე ილი ამტყეებს, ფული მივეცი, რადგან ამით ქართულ ფეხბურთში გამეფებული კორუფციის მხილება მსურდა, ოღონდ იმ მსაჯის გვარ-სახელს ვერ გაგიმხელთ, სიტყვა მიმიციაო.

ფრიად ჩახლართული ამბავია, თითქმის დეტექტიური. ვინ იყო ის მსაჯი, ჯერაც გამოცანად რჩება. არადა, სათქმელი თუა, ესაა!

იხილეთ მეორე გვერდი



ქართული ფეხბურთის მრუდე სახე



REUTERS ზადარიდან

ზადარი — რეალი 73:81. რეალელი ერიკ სტრიულენსი პრუოიე პერინჩისა და მარინ ვრსალკოს (№9) შორის

ვლადიმერ ბორისა +5 შალბირისთან თბილისის მაკაბი -81 რუსეთის მეექვსე გუნდთან

გუშინ დასრულებულმა ევროლიგის მესამე ტურმა ასპროცენტიანი შედეგით ოთხი გუნდი დატოვა — პირეოსის „ოლიმპიკოსმა“, ბოლონიის „კინდერმა“, ათენის „პანათინაიკოსმა“ და ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ წაგების გემო ჯერ არ იციან. ვლადიმერ ბორისას „ოლიმპიამ“ გუშინ 1999 წლის ევროლიგის ჩემპიონს, კაუნასის „უალგაირისს“ უმასპინძლა და 87:66 დაამარცხა. ქართველმა ფორვარდმა 5 ქულა მიითვალა.

ქართულ კალათბურთს ევროპაში მხოლოდ ლევიონერების წყალობითია თუ გამოეყოფა თავი. თუმცა, სადღაა თავი, რომელიც თბილისის „მაკაბიმ“ კორაჩის თასის პირველ, თბილისურ მატჩში მოჭრა ქართულ საკლუბო კალათბურთს, როცა რუსეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე მყოფ სარატოვის „აეტოდორთან“ 50 ქულით, 91:141 წააგო. გუშინწინ კი, საბასუხო მატჩში „მაკაბიმ“ ჩვენი საკლუბო კალათბურთის მოჭრილ თავს მძლავრი წიხლიც მიაცოლა:

ევროპაში „მაკაბის“ ავანტიურისტული ხუნბრუცი „ავტოდორმა“ არათუ ნოკაუბით, არამედ გილიობინით, 81-ქულიანი განადგურებით, 64:145 დაასრულა.

იხილეთ მეტხუმეტე გვერდი

უკვე რა ხანია, გიორგი დემეტრაძე ესპანურ...

და მისი გუნდი შინ ფრეს გამოირჩა. სხვათა შორის...

ნემსაძე გაბიდაზე. ქეცბაია ძირითადში დახდი ზეგნაში

ტოშაკა იფიქროს... დემეტრაძის ძირითადი ინსტინქტი: ძირითადში თამაში



— ძალიან ცუდად დავიწყებ ჩემსიონატი. რვა მატჩიდან ექვსი წავავეთ და ახლავა, შაბათს გავიმარჯვეთ პირველად — გვიონხრა გიორგი დემეტრაძემ, როცა სან სებასტიანში დაუკავირდით — სამიშო ზონაში ვართ, პრიმერადივიზიონიდან გავარდნის კანდიდატად ვითვლებით, მაგრამ, ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და უახლოეს მომავალში ვითარებას გამოვასწვრობეთ.

— ასეთი წარუმატებელი თამაშის მიზეზი რა არის? — რა ვიცი. თითქოს ურიგოდ არ ვთამაშობთ, ყველა მატჩში ორ-სამ რეალურ მომენტს ვქმნით, მაგრამ არაფერი გამოგვდის. პირველი გოლიც გავვიტანა, ანგარიშშიც გავვითანაბრებია, თუმცა შემდეგ მაინც დაემარცხებულვართ. შესაძლოა, ფიზიკურად არც ისე კარგად ვართ მომზადებულნი და აბიტომატ მატჩს ისევე ვერ ვამთავრებთ, როგორც ვიწყებთ. ყველაფერი კი მაინც მწვრთნელის საფიქრალია და მან უკეთ იცის, გუნდს რა სჭირს.

არის ეს ჩემი საქმე. მწვრთნელი ვინდ ტოშაკი იყოს, ვინდ სხვა, მთავარია, მათამაშოს და გუნდი გასავარდნთა ზონას მოშორდეს. „სოსიედადს“ იმის შესაძლებლობა აქვს, რომ ცხრილის შუაში მაინც დაიკვიდროს ადგილი. ვნახოთ, ისე კი, ჩემი აზრით, ტოშაკზე ძლიერი მწვრთნელი ბევრი არ არის. ეტყობა, გუნდის აწყობაში მას რაღაც უშლის ხელს.



საქართველოს ნაკრებს ბოლოს გამინაურებული გიორგი დემეტრაძე ახლა „სოსიედადის“ ძირითადს ეშურება



თემურ ქეცბაია „დანდის“ სათამაშოდ ემზადება, გიორგი ნემსაძე კი შოტლანდიელებს კარგა ხანს ვერ დაეხმარება



თემურ ქეცბაია „დანდის“ სათამაშოდ ემზადება, გიორგი ნემსაძე კი შოტლანდიელებს კარგა ხანს ვერ დაეხმარება

საძარტველს ნაკრების კაპიტანმა და შოტლანდიური „დანდის“ ნახევარმცველმა გიორგი ნემსაძემ ორიოდ დღის წინ შევიცარიამი მუხლის რთული ოპერაცია გაიკეთა. ექიმთა თქმით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ფეხბურთელიც ამჟამად თავს ნორმალურად გრძნობს. ნემსაძე დღესაც შევიცარიამია და მას გონა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი მასპინძლობენ. ნაკრების კაპიტანი შოტლანდიაში, ალბათ, ერთ თვეში დაბრუნდება, თუმცა კი ვარჯიშს როდის განახლებს, ამას ვერავინ ამბობს, შესაძლოა, გიორგიმ ამ სეზონში ვეღარც ითამაშოს.

როგორც „დანდის“ ქართველმა მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა გვითხრა, „დანდის“ სამივე ახალწვეულის დებიუტი ხელეკ „პაბერნიანის“ წინააღმდეგ მატჩში უნდა შედგეს.

კიოლნი ნულზე არჩილ არგულაძე მოგჯობინებს ულის



კვილაძე ტრავმირებულია ბუნდესლიგის „კიოლნის“ ქართველი თავდამსხმელი არჩილ არგულაძე და შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს. ჩვენებურმა ფორვარდმა წლეულს გერმანიის ჩემპიონატში სულ ერთხელ, ისიც რამდენიმე წუთით ითამაშა, ხშირად კი „კიოლნის“ სათადარიგოთა შორის იყო.



არჩილ არგულაძე ვეგალ ლინენის გული ვერ მოიგო

ხანს შედეგანობით ვერ გამოირჩევა ახლა კი ადრე ნატკენმა ფეხმა შემასწვხა და ვეგბ შევიცარიამი, მიხეილ ყაველაშვილის ნაცნობ ექიმთან ოპერაციაც გავიკეთო. მოგძვობინდები და მერე ვნახოთ, ჩემი მომავლის თაობაზე მწვრთნელთანაც მსურს გასაუბრება. რა ვიცი, ამ კაცს ვერ გავუგეკ თითქოს ჩემით უცმაყოფილო არ იყო, მაგრამ მაინც არ მათამაშებდა — გვითხრა არჩილ არგულაძემ, როცა კიოლნიში დაუკავშირდით.

Main table with multiple columns containing text and numbers, organized into sections like 'გერმანია', 'იტალია', etc. Each section lists items with associated numbers and values.




Table with columns for match number, teams, and 10 performance metrics (1/1 to 2/2) for 27 matches. Includes match numbers like 18.30, 18.30, 18.30, etc., and team names like შინგენი-ლევერსუქი, შინგენი-სტ. პავლი, etc.

Table with columns for match number, teams, and 10 performance metrics for 28 matches. Includes match numbers like 20.30, 20.30, 18.00, etc., and team names like ნორმურე-სტეტი, შამურე-პანსა, etc.

ტურის ბატონი ბოლავი

Table with columns for match number, team, and score. Lists matches for 27th, 26th, 27th, 27th, 27th, and 26th rounds with scores like 1.9: 2.7.

Table titled 'რუსეთი, უბელჯის ლიგა. 2001-02. XXVII ტური'. Contains match details and league table for Round 27 of the Russian Premier League.

Table titled 'ინგლისი, პირველი დივიზიონი. 2001-02. XVI ტური'. Contains match details and league table for Round 16 of the English Premier League.

Table titled 'ინგლისი, პირველი დივიზიონი. 2001-02. XVI ტური'. Continuation of match details and league table for Round 16 of the English Premier League.

Table titled 'ინგლისი, პირველი დივიზიონი. 2001-02. XVI ტური'. Continuation of match details and league table for Round 16 of the English Premier League.

შპიდარია. A ჯგუფი. 2001-02. XVII ტური

Table with 12 columns (1-12) and 12 rows (1-12) showing match results for Group A.

შპიდარია. B ჯგუფი. 2001-02. XIX ტური

Table with 12 columns (1-12) and 12 rows (1-12) showing match results for Group B.

პოლონეთი. „ა“ და „ბ“ ჯგუფები. 2001-02. XIII ტური

Table with 12 columns (1-12) and 24 rows (1-12 for group A, 13-24 for group B) showing match results for Poland groups.

შვედეთი. უაღელესი ლივიზიონი. 2001-02. XXVI ტური

Table with 14 columns (1-14) and 14 rows (1-14) showing match results for Sweden's highest level.

ბორა დარჩება

არ გამართლდა ჭორი, რომ ჩინელები გადაყენებას უბრუნებენ თავიანთი საფეხბურთო ნაკრების ლეგენდარულ იუგოსლავიელ მწვრთნელ ბორა მილუტინოვიჩს. უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჩინური ფეხბურთის ისტორიაში ამ ქვეყნის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გამყვანი კაცი იაპონია-კორეაშიც გაუძღვება გუნდს. ქალაქ შენიანში მიმდინარე ზეიმზეც ბევრს ეფერენ ბორას, რომელიც, როგორც ხედავთ, არ ბერდება.



REUTERS შენიანიდან



ეროვნული გიგლიოთიკა

REUTERS თერანაიდან

მუსლიმ ქალთა შეჯიბრი

თირანში გაიხსნა ისლამური სამყაროს ქალთა თამაშები. აქედანვე უნდა ითქვას, რომ ქალთა ნაირგვარ სპორტულ შეჯიბრებებზე კაცებს დასწრება აკრძალული აქვთ, იქ ვერც ჟურნალისტი შევა და ვერც ტელეკამერა ამუშავდება. ფოტოზე კი ხედავთ ავღანელ სპორტსმენ ქალებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნის გადარჩენისადმი მიძღვნილ ლექსს ისმენენ.

მონატრეპულნი

ახალჯალანდოში ჯონ პელქროუ თავის იახტაზე ეგებება მონატრეპულ ცოლ-შვილს, დონასა და ელიჯანდრესს. ეს ამბავი კეიპტაუნის ნავსადგურში ხდება, სადაც პელქროუს და მისი თანაგუნდელების იახტა „ილბრუკი“ 31 დღეში, 5 საათში, 19 წუთსა და 49 წამში მოცურდა საუთჰემპტონიდან და გარსაქვეყნო ნაოსნობის პირველი ეტაპი მოიგო.



REUTERS კეიპტაუნიდან



REUTERS მაიაიდან

კვლავ გაამართლეს

სწორედ ამას წინათ გაუწყებდით, რომ ამერიკული ფეხბურთისა და კინოს ვარსკვლავს, ოჯეი სიმპსონს კვლავ სასამართლოში ჰქონდა საქმე მაიაში მავან მოტორისტზე თავდასხმის ბრალდებით. ადრე ოჯეი ცოლის მკვლელობაში იყო ეჭვიმიტანილი და რამდენიმეწლიანი პროცესის შემდეგ გამართლდა. ვარსკვლავი ახლაც, ამ იოლ საქმეზეც გაამართლეს და ისა და ადვოკატები იგივე გალანტიერი და ლი კონი კმაყოფილნი ჩანან.

გადლობა ექიმს



THE SUN

ელან ბრიფიტსი პირველი ინგლისელი ექიმი ქალია, გულის ოპერაცია რომ გაუკეთებია პაციენტისთვის. ამ დღეებში მისის გრიფიტსი უამრავ სამადლობელ წერილს იღებს ლივერპულიდან. მას ფეხბურთის გულშემოტყვერები სწერენ, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან სწორედ ეს ქალი ვახლდათ იმ საქეიმო ბრიგადის მთავარი წევრი, ათი დღის წინათ რომ აორტის სასწრაფო, თერთმეტსაათიანი ოპერაცია გაუკეთა „ლივერპულის“ მენეჯერ ჟერარ ულიეს.



ნაადრევი სისარული

„მინუსოტა ვაილდის“ კაპიტანმა ჯიმ დაუდმა სულ ერთმანეთს შეახეთქა კართლინელ ქარიშხალათა მეკარე ტომ ბარასი და მცველი გლენ ვესლი და გოლიც გაიტანა, თუმცა, პირველ პერიოდში გატანული ეს გოლი ვერაფრის გადაწყვეტი გამოდგა მინეაპოლისში გამართულ შეხვედრაში, რომელიც კართლინელებმა 7:3 მოუგეს მასპინძლებს.

სარბიელი
სკორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორგი ოპროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, გიო ახუელიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტი მია აბაშიძე, ნათელა გიორგობანი, ლალი ვოზლიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუგულაძე, სვეტა დევაძე, მაგდალონაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომწვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე მაკაბის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge